

შპს „ბულო და კომპანია“

ს.კ 401944401

**ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს**

სარჩევი

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----
- ✓ საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები :

- ზოგადი ინფორმაცია -----
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----
- სავაჭრო მოთხოვნები -----
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----
- ძირითადი საშუალებები -----
- სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები -----
- შემოსავლები -----
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები -----
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -----
- ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	906,857	4,172,621	2,086,654
სავაჭრო მოთხოვნები	1,828,237	1,012,459	918,562
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	9,304	14,146	128,895
მარაგები	450,281	400,798	283,443
მზა პროდუქცია			
სხვა	450,281	400,798	283,443
სხვა მიმდინარე აქტივები	576	79	80
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
ძირითადი საშუალებები	18,807,697	8,121,586	8,297,709
სულ აქტივები	22,002,952	13,721,689	11,715,343
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	485,514	45,811	100,724
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	57,815	22,290	34,684
საგადასახადო ვალდებულებები	121,767	59,544	106,564
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	4,283,133	0	0
სხვა ვალდებულებები	33,266	0	0
სულ ვალდებულებები	4,981,495	127,645	241,972

შპს "ბელო და კომპანია" დირექტორი:

გ. წყნაძე

საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	45,376	45,376	45,376
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	16,976,081	13,548,668	11,427,995
სხვა კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	17,021,457	13,594,044	11,473,371
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	22,002,952	13,721,689	11,715,343

შპს "ბელო და კომპანია"

დირექტორი:

გ. წეხო



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2019	31.12.2018
ნეტო ამონაგები	8,842,471	6,983,111
საქონლის გაყიდვიდან	1,102,274	1,180,620
მომსახურების გაწევიდან	7,311,168	5,420,550
სხვა	429,029	381,941
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,742,962)	(1,503,435)
საწყისი მარაგები	(400,798)	(283,443)
მარაგების შესყიდვა	(1,792,445)	(1,620,790)
გადამუშავების დანახარჯი	0	0
საბოლოო მარაგები	450,281	400,798
საერთო მოგება	7,099,509	5,479,676

შპს "ბელო და კომპანია" დირექტორი:

გ. წეხო

სხვა შემოსავალი	258,164	104,478
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,138,365)	(880,325)
ცვეთა და ამორტიზაცია	(883,674)	(816,296)
საპროცენტო ხარჯი	(110,640)	
იჯარის ხარჯი	(331,972)	(336,457)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(700,275)	(653,175)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,906,762)	(2,581,775)
საოპერაციო მოგება	4,192,747	2,897,901
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრობითი ოპერაციებიდან	4,192,747	2,897,901
მოგების გადასახადი	(55,492)	(67,228)
მოგება/(ზარალი)	4,137,255	2,830,673
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	4,137,255	2,830,673
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	13,594,044	11,473,371
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(709,842)	(710,000)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17,021,457	13,594,044

შპს "ბელო და კომპანია"

დირექტორი:

გ. წეხი



შპს "ბელო და კომპანია" დირექტორი:

გ. წეხი

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2019	31.12.2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(7,013,495)	2,677,505
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	5,200,943	95,516
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,442,944)	(674,500)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(3,255,496)	2,098,521
სავალუტო კურსის ეფექტი	(10,268)	(12,554)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,172,621	2,086,654
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	906,857	4,172,621

შპს "ბელო და კომპანია"

დირექტორი:

გ. წყნაძე



შპს "ბელო და კომპანია" დირექტორი:

გ. წყნაძე

ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ბელო და კომპანია“ (ს.კ : 401944401) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ. (თარიღი : 23/02/2010).

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი , დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ : №138.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და მძიმე ტექნიკის იჯარა და მომსახურება, ასევე ვახორციელებთ სამშენებლო და მძიმე ტექნიკის გადაზიდვებს.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ბელო წვერიკმაზაშვილი იგი ამავდროულად გახლავთ კომპანიის დირექტორიც.

ანგარიშგების ვალუტა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართლ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში

სამართლიანი წარდგენა - არის სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვა, აქტივები, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად. მიმდინარე ანგარიშგებაში ყველაფერი ასახულია სამართლიანი წარდგენის პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმოდ მიიჩნევა საწარმო თუ მის ხელმძღვანელობას განზარხული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან იძულებული არ არის, რომ ასე მოიქცეს. შპს „ბელო და კომპანია“ არც კი განიხილავს მსგავს ფაქტს და არც მსგავსი რისკების წინაშე არ დგას კომპანია.

შესადარისი ინფრომაცია - ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამჟღავნებულია წინა პერიოდის შესადარისი ინფრომაცია და თანხები. მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შინაარსობრივი მონაცემებისათვის, როცა ეს საჭიროა ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაყიდული საქონლის ან გაწეული მომსახურების გადაუხდეელი ღირებულებისაგან, რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდით საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის დასრულების თარიღით აღაიარა შემოსავლად და ასახა საბუხალტრო აღრიცხვაში. თუმცა ჯერ არ მიუღია კომპანიას შესაბამისი ანაზღაურება.

შპს „ბელო და კომპანია“ სისტემატურად მუშაობს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს სავაჭრო მოთხოვნების დროული ამოღება და თავიდან აირიდოს შემდგომი სამართლებრივი პროცდედურებ. მიუხედავად ამ ღონიზძიებებისა 2019 წლის 31 დეკენბრის მონაცემებით კომპანიას უფიქსირდება 1,828,237 ლარის სავაჭრო მოთხოვნები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები .

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება უმცირესი თანხით: თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისას გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. ჩვენს კომპანიაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების უმრავლესობა წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ასევე ვფლობთ მარაგებს რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად საქმიანობის პროცესიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალებები .

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები რომლებიც: იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება იჯარით გასაცემად, მომსახურების გასაწევად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგება პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.

შპს „ბელო და კომპანიის“ ძირითადი საშუალებები მოიცავს : მიწას, შენობას, დაუმთავრებელ მშენებლობას, სატრანსპორტო საშუალებებს, საოფისე აღჭურვილობას, კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრი ნიჭიბულობებს და სხვა ძირითად საშუალებებს.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება ხდება მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების ფონზე.

სასარგებლო მომსახურების ვადები :

- შენობა - ნაგებობები -30-40 წ
- საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 7-20 წელი
- ელექტრო მოწყობილობები 5-10 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა -2-7 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 4-10 წელი

სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები .

ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება, თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადენას სახელშეკრულებო ვალდებულებების დასაფარად.

სავაჭრო ვალდებულებები არის მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები, რომელიც წარმოიშვა მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, სხვა შემთხვევაში ის კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

საწარმოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველნაირი ხარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარები იყო გაწერილი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისაგან და ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხის უზრუნველყოფის სახით იპოთეკით დატვირთულია კომპანიის მფლობელობაში მყოფი უძრავი ქონება. მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4,5 % -დან 12 % - მდე .

უცხოურ ვალუტარში არსებული ვალდებულებები ანგარიშგებების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი - ლ). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კრუსის მიხედვით: საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავლებში ან ხარჯებში.

გაცვლითი კურსი	EUR/ლ	USD / ლ
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	3,2095	2,8677
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	3,0701	2,6766

სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	485,514	45,811
სასესხო ვალდებულებები	4,283,133	0

შემოსავლები.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

შპს „ბელო და კომპანიის“ შემოსავლები იყოფა რამდენიმე კატეგორიად :

შემოსავლები	31.12.2019	31.12.2018
საქონლის გაყიდვა	1,102,274	1,180,620
ტექნიკის იჯარა და მომსახურება	7,142,438	5,397,239
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	429,029	381,941
საოფისე ფართის იჯარა	168,730	23,311
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	258,164	104,478

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს .

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2019	31.12.2018
შრომის ანაზღაურება	1,138,365	880,325
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	883,674	816,296
იჯარის ხარჯი	331,972	336,457
ბანკის მომსახურების ხარჯი	16,063	3,210
კომუნალური ხარჯი	26,107	14,286
ქონების გადასახადის ხარჯი	79,879	72,250
მოგების გადასახადის ხარჯი	55,492	67,228
პროცენტის ხარჯი	110,640	0
სხვა ხარჯი	578,226	563,429
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,220,418	2,753,481

სანაგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

სანაგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხერლსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე:

COVID-19 -ს პანდემიამ მთლიანად შეცვალა მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობა და რათქმაუნდა ამ პანდემიამ ჩვენს კომპანიაზეც მოახდინა ზეგავლენა, სამომავლო გეგმებსა და კომპანიის განვითარების პილიტიკაზე. იქიდან გამომდინარე, რომ არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობაა ზოგადად მსოფლიოში შპს „ბელო და კომპანია“ გადაწყვიტა მაქსიმალურად მოახდინოს რესურსების მობილიზება და უმოკლეს ვადებში შეძლოს სასეხო ვალდებულებების დაფარვა. რადგან კომპანიამ მყარად (მინიმალური რისკების ფონზე) განაგრძოს საქართველოს ბაზარზე მოღვაწეობა. ასევე დიდ ყურადღებას აქცევს კომპანია თამშრომლეთა უსაფრთხოებასა და ჯამრთელობას. ფუნქციონირებისა და მომსახურების გაწევის მომენტში მაქსიმალურად იცავს კომპანია ყველა იმ შეზღუდვის ნორმებს, რომელიც აუცილებელია რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსის გავრცელება

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბელო და კომპანია“-ს დირექტორი -----

თარიღი: 2020 წლის 30 სექტემბერი



შპს „ბელო და კომპანია“ დირექტორი:

გ. გუბია